ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3880082

ნომერი: AR1587629

თარიღი : 22.03.2018

გაცემის თარიღი : 22.03.2018

გაცნობის თარიღი : 22.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ქვემო ლისი , "ჭაბურღილთან";

დამკვეთი-განმცხადებელი
- ალექსანდრე გუჯაბიძე პ/ნ 01017041171
- თბილისი, ბოჭორმის 50/18

ორგანიზაცია:
- შპს ,,ისანი კომფორტი" კოდი: 404480101

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტისსსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 მარტის №3877958 ბრძანებაში ტექნიკურიშეცდომისგასწორებისთაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურს 2018 წლის 22 მარტს №AR1587629 განცხადებით მომართა ალექსანდრე გუჯაბიძემ დაამავე სამსახურის2018 წლის 21 მარტის №3877958 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საკადასტრო კოდთან დაკავშირებით ტექნიკურიხარვეზის გასწორებამოითხოვა.

სამსახურმა, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგადდაადგინა, რომ 2018 წლის 30 იანვარს №AR1573564 განცხადებით სამსახურს მომართა ალექსანდრე გუჯაბიძემ ქ. თბილიში, სოფელ ქვემო ლისში, „ჭაბურღილთან“ მდებარე №72.16.18.774 და №72.16.18.775 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შვიდი ინდივიდუალური ერთბინიანისაცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება მოითხოვა. სამსახურის 2018 წლის 21 მარტის №3877958 ბრძანებით განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომელშიც მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად დაფიქსირდა: №72.16.18.774 და №72.16.18.775, ხოლო ფართობად 1500 კვ.მ და 1500 კვ.მ.

წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 21 მარტის №3877958 ბრძანებაში საკადასტრო კოდის გასწორება და №72.16.18.774 და №72.16.18.775 საკადასტრო კოდების ნაცვლად №72.16.18.975 საკადსტრო კოდის დაფიქსირება.

განმცხადებლის მოთხოვნის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განაცხადი: №892018155644, მომზადების თარიღი: 23/02/2018 18:35:05) №72.16.18.774 და №72.16.18.775 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა №72.16.18.975 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, ფართობი: 3000 კვ.მ. შესაბამისად, 2018 წლის 21 მარტის №3877958 ბრძანების გამოცემის დროისათვის მიწის ნაკვეთები უკვე გაერთიანებული იყო და გაერთიანებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდს წარმოადგენდა №72.16.18.975, ხოლო ფართობს - 3000 კვ.მ

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევს მოთხოვნის დააკმაყოფილებას და მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. ამასთან, რადგან მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი №72.16.18.975 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობი არის 3000 კვ.მ, ასევე საჭიროა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცალ-ცალკე დაფიქსირებული ფართობების გასწორებაც.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასაქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდესტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 მარტის №3877958 ბრძანებაში და საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს №72.16.18.975, ხოლო მიწის ნაკვეთის ფართობად - 3000 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 მარტის №3877958 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარებრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 მარტის №3877958 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანებაშეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოსკანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.